



ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მინიჭებული აუდიტორული ფირმის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-846527, <https://www.saras.gov.ge/>

ქ.თბილისი

29.04.2024 წ

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

დამკვეთი: ა(ა)იპ „თავისუფალი მედია სივრცე“
დასკვნის თარიღი: 2024 წლის 29 აპრილი

საფუძველი: 2024 წლის 19 აპრილის ხელშეკრულება

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
მოსაზრება.....	3
მოსაზრების საფუძველი.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე.....	4
ფინანსური ანგარიშგება-----	6
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების (მოკლე) ახსნა-განმარტებები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის ხელმძღვანელობას

დასკვნა იმ აუდიტორული მომსახურების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტორული მომსახურება, რომელიც მოიცავდა ფინანსური ანგარიშგების შემოწმების აუდიტს, რაც შედეგადად: 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგებისაგან. რომელიც მოიცავს აღნიშნული თარიღისათვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების, ფონდებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ინფორმაციას, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული თარიღით დამთავრებული ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობა, საქმიანობის შედეგის შესახებ ანგარიშგება, ფონდებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის საქმიანობის შედეგებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „მე-6 პუნქტის“ შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წლის 26 ივნისის ნ-9 ბრძანების საფუძველზე არასამთავრობო იურიდიული პირისთვის შემუშავებული სტანდარტის საფუძველზე, ასევე მცირე და საშუალო საწარმოთა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ „დამკვეთისაგან“ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, ასევე შევასრულეთ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

ხელმძღვანელობისა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საზოგადოების ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საზოგადოების ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან როდესაც ამის აუცილებლობა დგება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

აუდიტი დაიგეგმა და განხორციელდა ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის და შპს „აუდიტი XXI“ შორის, 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების შემოწმების მიზნით აუდიტორული მომსახურების გაწევას, აუდიტის ჩატარებისას ვხელმძღვანელობდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული პროცედურებით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად. ჩვენ ვადასტურებთ, რომ ვართ დამოუკიდებელი ორგანიზაციისგან, არ გავაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით შესაბამისი ეთიკური ნორმების დაცვით, მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში, გარდა ამისა ჩვენ:

- შევადგინეთ და შევაფასეთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული, ფინანსური ანგარიშგების არსებით უზუსტობების რისკი, დავეგეგმეთ და ჩავატარეთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნული აუდიტორული პროცედურები, შევკრიბეთ ისეთი აუდიტორული მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრებების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად, რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული

უზუსტობა. რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარ განპრახვლად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლეთ აუდიტისათვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებები, რათა დაგვეგვემა კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა მისთვის, რომ მოსაზრება გამოგვეთქავა შიდა აუდიტის კონტროლის ეფექტიანობაზე
- შევაფასეთ ხელმძღვანელების მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობა, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობა.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების დაყრდნობით დავადგინეთ, არსებობდა თუ არა რაიმე მოვლენებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც ეჭვს გამოიწვევდა ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის ფუნქციონირებადობას პროგნოზირებად დროში, შესაბამისად ჩვენი მოსაზრებაც იქნებოდა მოდიფიცირებული, ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს, თუმცა ამის შემდგომ მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის უკვე აღარ იყის ფუნქციონირებადი პირი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების შესახებ, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ



შპს „აუდიტი XXI“ გარიგების პარტნიორი
ეთერი გოგია
აუდიტორი სარ. №SARAS-A-674437

ფინანსური მდგომარეობის ამგარიშება

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	38947	46170	30369
ძირითადი საშუალებები	37624	44212	27776
ინვესტიციები			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	1323	1958	2593
მიმდინარე აქტივები	177806	195329	202748
მარაგები	0	0	0
დებიტორები		6761	6419
გადახდილი გადასახადები		0	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	177806	188568	196329
სულ აქტივები	216753	241499	233117
ფონდები და ვალდებულებები			
ფონდები	214157	239587	224994
საკუთარი კაპიტალი	287660,	273661	247974
აკუმულირებული ზარალი	(73503)	(34074)	(22980)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები			
საპენსიო ანარიცხები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	2596	1912	8123
კრედიტორები	2556	1912	8123
მოკლევადიანი სესხები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი			
საგადასახადო ვალდებულებები			
სულ ფონდები და ვალდებულებები	216753	241499	233117

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

საქმიანობის შედეგების ანგარიშება

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
შემოსავლები		64790	76136
საოპერაციო შემოსავლები	42161	64790	76136
დაფინანსება	67013		
გრანტი	19500		
არასაოპერაციო შემოსავლები	1651		
საპროცენტო შემოსავლები	9041		
სულ შემოსავლები	139366	64790	76136
ხარჯები			
შრომის ანაზღაურება	33530	35271	22296
სხვა მხარდამჭერი ხარჯები	10088	14063	15243
ადმინისტრაციული ხარჯები			
საკომუნიკაციო და კომუნალური მომსახურება	24565	22046	12861
სესხის პროცენტი			
ქველმოქმედება			
მივლინების ხარჯები	3158		
ამორტიზაცია	11998	4135	3886
ქონების გადასახადი	483	369	
სულ ხარჯები	83 339	75884	54286
მთლიანი შედეგი(+,-)	56 027	-11094	21850

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

ფონდებში ცვლილებების ანგარიშება

	31.12.2022	31.12.2023
ნაშთი 01.01.2021	224994	
გრანტი და შემოწირულობები		19500
ფონდების რესკლავიცირება		
ხარჯების დაფინანსება		
ფონდის ზრდა(შემცირება)	14593	28573
საბოლოო ნაშთი	239587	287660

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანაგეზგება

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
გრანტის სახით მიღებული ფულადი სახსრები	19500	2344
მიღებული დაფინანსება	67023	75849
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	42161	63742
სხვადასხვა მიმდინარე შემოსავლები(თანხის დაბრუნება)		0
შემოსავალი კონვერტაციიდან	1651	
სესხები		
მიმწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფული	(128669)	(131401)
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი გადასახადები	(21469)	(15211)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(4677)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3084)
მიღებული პროცენტები	9041	
მიღებული დივიდენდები		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	9041	(3084)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
თამასუქის გაცემით მიღებული ფულადი სახსრები		
სესხის დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები		
ფინ.იჯარის ვალდებულების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები		
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(10762)	(7761)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები სააგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	188568	196329
ფულადი სახსრების სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები სააგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	177806	188568

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შესავალი

ა(აიპ) თავისუფალი მედია სივრცე დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2015 წლის 9 დეკემბერს ს/კოდი 437065916, მმართველობის ორგანოა დამფუძნებელთა კრება, დირექტორი ავთანდილ გველებიანი კ/ნ 33001033719. პირის საქმიანობის სფეროა ტელემუწეობა, პირმა ავტორიზაცია გაიარა 2016 წლის 25 მაისს, ავტიზაციის ნომერია BR-5014. იურიდიული მისამართი ოზურგეთი, სოფელი შემოქმედი.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ა(აიპ) თავისუფალი მედია სივრცის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია არასამთავრობო იურიდიული პირისათვის შემუშავებული სტანდარტის, ასევე მცირე და საშუალო საწარმოთა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოებია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. საზოგადოება საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ა(აიპ) წარმოდგენს ფუნქციონირებად ორგანიზაციას და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარმოდგენილი ინფორმაცია ა(აიპ) თავისუფალი მედია სივრცის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.

ა(აიპ) თავისუფალი მედია სივრცე ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ელექტრონული ბუღალტრული პროგრამა “ორისის” საშუალებით.

საანგარიშგებო პერიოდი

ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია: 2023 წელი

გამოყენებული ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ქართული ლარი.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომელიც ა(აიპ) ბალანსზე აღიარებს წარმოდგენილია გრძელვადიანი აქტივების, დებიტორული დავალიანებების, ფულადი სახსრების, მარაგების და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების სახით. ფინანსური ვალდებულებები კი კრედიტორული და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ინსტრუმენტების ბალანსში ასახვა ხდება რეალური ღირებულებისა და დამატებული საოპერაციო ხარჯების ჯამით.

ფინანსური ინსტრუმენტებისა ან მისი ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს ან დაფარავს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ვალდებულებას.

მიმდინარე, გრძელვადიანი და არამატერიალური აქტივები

მიმდინარე აქტივები. რომლებიც აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით, შექმნილი აქტივი შემოსავალში აიღება მისი თვითღირებულებით, რაც მოიცავს: ნასყიდობის ღირებულებას, დაუბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და სხვა პირდაპირ ხარჯებს.

გრძელვადიანი აქტივები. რომლებიც აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით, შექმნილი აქტივი შემოსავალში აიღება მისი თვითღირებულებით, რაც მოიცავს: ნასყიდობის ღირებულებას, დაუბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისათვის საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს.

გრძელვადიან აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, ანუ როცა მოხდა მისი გამომუშავება, მიუხედავად იმისა, მიღებულია თუ არა მისი სანაცვლოდ ფულადი ანაზღაურება ან სხვა სახით კომპენსაცია. შემოსავლების აღრიცხვა წარმოებს მისი წყაროების შესაბამისად.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, ანუ როცა ის წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების დაფარვის მომენტისა. ხარჯების აღრიცხვა წარმოებს მისი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა

გადასახადების მიზნებისათვის გადასახადების გაანგარიშება და გადახდა წარმოებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ა(ა)იპ-ს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ასახულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებით შენიშვნებში, აღნიშნული შენიშვნები ასევე დამატებით მოიცავს არაფინანსური ხასიათის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის.

ფინანსური ანგარიშგება

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად, სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით.

აქტივი

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი

ფულადი სახსრები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. 2023 წელს ა(ა)იპ-ს სალაროში ფულადი სახსრების მოძრაობა არ ფიქსირდება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე ნაშთად ერიცხებოდა 188586 ლარი, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 177 806 ლარი.

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოქმნილია გადასახდელების წინასწარი გადახდებით და გაწეული მომსახურების შედეგად.

მოთხოვნებისა და დებიტორული დავალიანებების აღრიცხვა წარმოებს ანალიზურად .

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შეძენის თვითღირებულებით და დამზადების ღირებულებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირს მარაგები არ ერიცხება

გრძელვადიანი აქტივები

გრძელვადიანი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საწყისი (ისტორიული) ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ცვეთის თანხით. გრძელვადიანი აქტივები დალაგებულია შემდეგ სააღრიცხვო ჯგუფებში:

დასახელება	31.12.2023
მანქანა-დანადგარები	24924
ოფისის ალჭურვილობა	5356
სატრანსპორტო	5309
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2035
არამატერიალური აქტივები	1323
სულგრძელვადიანი	38947

ვალდებულებები

კრედიტორული ვალდებულებები წარმოიშობა მიღებული საქონლის და მომსახურების ღირებულებიდან.
ვალდებულებები კლასიფიცირდება შემდეგი სახით:

31.12.2023

მიწოდებიდან და მომსახურებიდან
წარმოქმნილი ვალდებულებები
სესხი

2637

საგადასახადო ვალდებულებები
სულ ვალდებულებები

2637

მოგება-ზარალის ანგარიშგება

შემოსავლები

ა(აიპ) თავისუფალი მედია სივრცის შემოსავლების სტრუქტურა:

დასახელება	31.12.2023
დაფინანსება	67 013
საგრანტო	19 500
ეკონომიკური საქმიანობიდან	42 161
სხვა	10 692
სულ	139 366

ხარჯები

ა(აიპ) თავისუფალი მედია სივრცის მიერ 2023 წელს გაწეული ხარჯები უკავშირდება ძირითად საქმიანობას, რაც დაკავშირებულია ტელემაუწყებლობასთან 2023 გაწეული ხარჯების ჯამი შეადგენს 83 339 ლარს

მოგება- ზარალი

2023 წელს მიღებულმა მოგებამ შეადგინა 56 027 ლარი.

ბიუჯეტთან ანგარიშსწორება

ა(აიპ) თავისუფალი მედია სივრცე ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახდენს: ხელფასებისა და მასთან გათანაბრებული განაცემების მიხედვით საშემოსავლო გადასახადზე, ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით დამატებული ღირებულების გადასახადზე, ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების მიხედვით ქონების ნგადასახადზე.

**ფინანსური ანგარიშგების შედგენის
შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები**

ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომ პერიოდში ა(აიპ) თავისუფალი მედია სივრცე, განაგრძობს ჩვეულებრივ საქმიანობას და მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

დირექტორი:

მთ.ბუღალტრი